

ოფშორული ზონების თანამედროვე გაზარი და მისი პირითადი თავისებურებანი

რამაზ სიჭინავა, სტუ-ს დოქტორანტი

XX

თავისუფალი ეკონომიკური ზონები, იგივე ოფშორული ზონები მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს ზონები წარმოადგენენ ხელსაყრელ წარმონაქმნებს, სადაც შესასძლებელია ზემოვთხრობის მიღება და ასევე მნიშვნელოვან რგოლს ღია ეკონომიკის პრინციპების რეალიზაციაში. აქ გამოყენებული ეკონომიკური წესები, ბერკეტები და სპეციალური ადმინისტრაციული კანონები ამსუბუქებენ სამართლებრივ და სამეურნეო რეჟიმს. საბაჟო, საინვესტიციო და საგადასახადო რეჟიმი ნებისმიერი საგარეო და შიდა ინვესტიციებისათვის ხელსაყრელია და აქედან გამომდინარე ოფშორული ზონები თავისებურ მიმზიდველ "ზაფხანს წარმოადგენენ უცხოური კაპიტალდაბანდებისათვის.

უკანასკნელ წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა ოფშორულმა წარმოებამ, ოფშორული წარმოება ნიშნავს საბაჟო ქვეყნიდან წარმოების უცხოეთში გატანას და შემდეგ მზა პროდუქციის ეროვნულ ან სხვა ქვეყანაში გაყიდვას, რომელსაც მცირე საწარმოო ხარჯები და ბაზრებთან მიახლოება განაპირობებს. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, ოფშორულ ბიზნესში მოქმედი კაპიტალი 500 მილიარდ დოლარს აღწევს. მასში მონაწილეობს თითქმის ორი მილიონი მეანბრე (იურიდიული და ფიზიკური პირი) და ყოველწლიურად ხდება რამდენიმე ათასი ახალი კომპანიის რეგისტრირება, რომლებიც ზრდიან ოფშორული საქმიანობის მოცულობას.

ოფშორული კომპანიების რეგისტრაცია შესასძლებელია იურისდიქციებში, რომლებიც ფლობენ ოფშორული ფირმების სტატუსის განმსაზღვრელ საკანონმდებლო ბაზას. ოფშორული კომპანია - ეს არის ერთ-ერთ საგადასახადო პავანში (ნავსადგურში) რეგისტრირებული ფირმა, რომელსაც ოფშორული ტიპის საწარმოებს სთავაზობენ გადასახადებისაგან მთლიანად განთავისუფლებას ან გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს.

ტერმინი - "ოფშორული კომპანია" ახასიათებს საწარმოს განსაკუთრებულ ორგანიზაციულ-იურიდიულ სტატუსს, რომელიც უზრუნველყოფს მისთვის საგადასახადო დანაკარგების მაქსიმალურ შემცირებას, უმეტეს შემთხვევაში - ნულამდე კი.

კანონმდებლობა, როგორც წესი, მოითხოვს, რომ ოფშორული კომპანიის მართვა, ფუნქციონირებადი ოფისის დაფუძნება და კონტრაქტების დადება, რეგისტრაციის ტერიტორიის გარეთ იქნას გამხორციელებული. სხვა სიტყვებით, ოფშორული კომპანია უმრავლეს შემთხვევაში, არ შეიძლება იყოს თავისი ოფიციალური იურისდიქციის რეზიდენტი. აქედან წარმოსდგება, სწორედ, ტერმინი „Offshore“, - ნიშნავს საქმიანობას "ნაპირებს იქით" ანუ "საზღვრებს გარეთ". იურიდიული თვალსაზრისით, ოფშორული კომპანია პრინციპულად არაფრით გასხვავდება სხვა კომპანიებისა და საწარმოებისაგან. ის წარმოადგენს სამეურნეო სამართლებრივი ურთიერთობის

სრულუფლებიან სუბიექტს და შეუძლია დადოს გარიგებები სხვა იურიდიული პირების თანასწორად.

ცნებები "ოფშორული ზონა" და "თავისუფალი ეკონომიკური ზონა" ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ თუ ოფშორული ზონა გულისხმობს კომპანიის საქმიანობას მისი რეგისტრაციის ზონის (ტერიტორიის) გარეთ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის პირობებში კომპანიებს შეღავათები იმეტომ ეძლევათ, რომ ისინი იმავე ზონაში საქმიანობენ. ოფშორული ზონები აღირიცხება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების მიერ.

"ოფშორულ ზონად" ითვლება ქვეყანა ან ტერიტორია, რომლის კანონმდებლობაში ნებადართულია რეგისტრაციის ქვეყნის ან ტერიტორიის გარეთ მოქმედი წყაროებიდან მოგების მიმღები კომპანიის (ოფშორული კომპანიის) რეგისტრაცია. საერთაშორისო ორგანიზაცია "ფინანსური სტაბილურობის ფორუმი" ოფშორულ ზონას განსაზღვრავს, როგორც იურისდიქციას, რომელიც არარეზიდენტების აქტივობის მაღალ დონეს განაპირობებს". ეს აქტივობა განპირობებულია გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირების და მოგების გადიდების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ოფშორული ოპერაციით, ანუ ესაა ბიზნესი, რომელიც ზორციელებდა მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, აქვს შემოსავლების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა.

ოფშორული იურისდიქციის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ მის ტერიტორიაზე იმყოფებოდეს რეგისტრირებული ოფისი და კომპანიის მდივანი ან აგენტი. რეგისტრირებული ოფისის პრობლემის არსი მმდგომარეობს იმაში, რომ ის არ წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონირებად ოფისს. უბრალოდ, ეს არის მისამართი, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერი პირს შეუძლია კონტაქტში შევიდეს ოფშორული კომპანიის წარმომადგენელთან (აგენტთან). სხვა სიტყვებით, ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიზნესის მართვისათვის. აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ოფშორული იურისდიქციის ტერიტორიაზე კონტრაქტების გაფორმების ფაქტიც შეიძლება გახდეს კომპანიისათვის ოფშორული სტატუსის ჩამორთმევის საფუძველი.

უმეტეს შემთხვევაში, ოფშორული ფირმის დირექტორად ხდება თვითონ მფლობელი. თუმცა, ხშირად შეიძლება შევხვდეთ ისეთ სიტუაციას, როდესაც ოფშორული კომპანიის დირექტორი არის ნომინალური პირი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნომინალური დირექტორი მხოლოდ ფორმალურად იმყოფება ამ თანამდებობაზე. ფაქტიურად, ის კისრულობს ვალდებულებას, არ განახორციელოს რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც კონტრაქტით არაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში კომპანიას მართავს ოფშორული კომპანიის მფლობელი ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც ეძლევა უფლება კომპანიის

სახელით იურიდიულ ქმედებაზე.

შეიძლება გამოვყოთ ოფშორული კომპანიების შემდეგი ხუთი ძირითადი მახასიათებელი:

1. ოფშორული კომპანია არ შეიძლება იყოს იმ ტერიტორიის რეზიდენტი, სადაც ის ოფიციალურადაა რეგისტრირებული. ეს ნიშნავს იმას, რომ მისი კონტროლისა და მართვის ცენტრი მდებარეობს საზღვარგარეთ. ოფშორული კომპანიის ნებისმიერი კომერციული ოპერაცია უნდა განხორციელდეს იმ იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, სადაც ის არის რეგისტრირებული.

2. ოფშორული კომპანია თავისუფლდება (ყველა, ან უმეტესობა) გადასახადებისაგან და იხდის ყოველწლიურად სარეგისტრაციო მოსაკრებელს.

3. გამარტივებულია რეგისტრაციის პროცედურა და კომპანიის მართვა. დაშვებულია "ნომინალური" მფლობელებისა და დირექტორების არსებობა. მოთხოვნები საერთო კრებებისა და დირექტორთა საბჭოების ჩატარების შესახებ ატარებს ფორმალურ ხასიათს;

4. ოფშორულ ფირმებზე არ წარმოებს სავალუტო კონტროლი; მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყვანილია მინიმუმამდე; აუდიტორულ შემოწმებებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საერთოდ არ საჭიროებს;

5. ოფშორული ფირმის მფლობელობა შეიძლება განხორციელდეს ანონიმურ საფუძველზე კონფიდენციაურობის მაღალი გარანტიით.¹

ოფშორული ზონები განლაგებულია ისეთ ტერიტორიებზე, რომლებსაც, როგორც წესი, არ გააჩნიათ სამხედრო ხარჯები, არ ინახავენ წამებებიან საწარმოებს და გააჩნიათ სახელმწიფო მოხელეების ოპტიმალური რიცხოვნება. მათ აქტიურ გამოყენებას, უპირატესად, ხელს უწყობს ზონებში არსებული შეღავათიანი რეჟიმი, რაც უპირველეს ყოვლისა, ვლინდება დაბალ გადასახადებსა და მარტივ ბიუროკრატიულ პროცესებში. ასეთი პოლიტიკის გატარებით ბუნებრივი რესურსების არმქონე და უმნიშვნელო ეკონომიკური პოტენციალის მქონე მცირე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ არსებობის შესაბამის დონეს. კაპიტალის მოძრაობის პროცესი ოფშორულ სისტემებში ე.წ. "გამტარი" კომპანიების საშუალებით მიმდინარეობს, რომლებიც მოგების შემქმნელ ან გამსაღებელ კომპანიას ოფშორული ზონის ფირმებთან აკავშირებენ. ოფშორული ზონების ყველაზე გავლენიან კლიენტებად ტრანსნაციონალური კომპანიები სახელდება. ტერმინი "ოფშორული კომპანია" ახასიათებს კომპანიის იურიდიული სტატუსის თავისებურებებს, რომელიც რეგისტრირებულია ერთ-ერთ შეღავათიან საგადასახადო გარემოში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადასახადების ტვირთის მაქსიმალურად კლებას, ხოლო, რიგ შემთხვევაში, თითქმის ნულამდე დაყვანას.

ოფშორული კომპანია წარმოადგენს როგორც საგადასახადო დაგეგმვის ინსტრუმენტს, ასევე რისკის მართვისა და კაპიტალდაბანდების საიმედოობის ამაღლების საშუალებას.

საგადასახადო დაგეგმვა შეიძლება განვიხილოთ,

¹ ოფშორული ფირმის მფლობელობის კონფიდენციაური ხასიათი გარანტირებულია საყოველთაოდ მიღებული სამართლებრივი ნორმებითა და იმ იურისდიქციის კანონმდებლობით, სადაც ოფშორული ფირმა რეგისტრირებულია.

როგორც სხვადასხვაგვარი-გეოგრაფიული, სამართლებრივი და ეკონომიკური ფაქტორების გამოყენება საგადასახადო დანაკარგების შემცირების მიზნით. საგადასახადო დაგეგმვა არ შეიძლება მთლიანად გამოვყოთ კომპანიის ფინანსური და საწარმოო დაგეგმვისაგან.

ოფშორული ფირმების ფუნქცია მხოლოდ საგადასახადო დაგეგმვით არ შემოიფარგლება. ოფშორული ფირმები იქმნება რისკების მართვისათვის რაც გულისხმობს მსოფლიოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილურ რეგიონებში საწარმოების რეგისტრაციასა და მათი აქტივების განლაგებას. რისკის მართვა მიიღწევა აქტივების გადანაწილების მოქნილი და მოძრავი სისტემების შექმნით, რისკის მინიმუმამდე დაყვანისა და საერთაშორისო საწარმოების მდგრადობის ამაღლების მიზნით. არასტაბილურობის ნიშნის გამოჩენის ან სხვა რისკების შემთხვევაში ოფშორული სტრუქტურები საშუალებას იძლევიან სწრაფად გადაიგზავნოს კაპიტალი საიმედო რაიონში მისთვის "თავშესაფრის" შექმნის მიზნით.

ოფშორული ფირმები და მათი წარმომადგენლობები ზოგიერთ იურისდიქციაში ასრულებენ საერთაშორისო კომპანიების ოპერატიული მართვის შტაბბინის ფუნქციას. ასეთ სტრუქტურად შეიძლება მოგვევლინოს ჰოლდინგური კომპანია შეღავათიან ჰოლდინგურ იურისდიქციაში.

ოფშორული კომპანიის მფლობელის განკარგულებაშია ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვისა და სხვა აქტივების მომსახურების ფართო არჩევანი. ოფშორული ფირმების დახმარებით როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ოფშორული ტრასტებისა და ფიდუციარული ფონდების მომსახურებით.

ოფშორული კომპანიები საშუალებას აძლევენ მათ მფლობელებს მთლიანად ისარგებლონ ევრო სავალუტო ფინანსური სისტემის უპირატესობებით. კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვების მიმართ მოთხოვნები ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში ნაკლებად მკაცრია, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, რიგ შემთხვევები რეზერვებს საერთოდ არ საჭიროებს. ამის გამო ფინანსური ოპერაციების ხარჯები ევროვალუტაში უფრო მცირეა, ვიდრე ეროვნულ ფინანსურ ბაზარზე.

ოფშორული ფირმების მფლობელებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა განაზოცილონ სხვადასხვა ფინანსური ოპერაციები და სპეკულაციური თამაშები მაღალგანვითარებულ ფინანსურ ბაზარზე. მათ განკარგულებაშია - შუამავლებისა და ცნობილი რეპუტაციის კონსულტანტების ფინანსური მომსახურება და კაპიტალის მართვის სხვადასხვაგვარი სქემები. მთავარი კი ამ ბაზარზე ისაა, რომ ყოველთვის შეიძლება ამოირჩიო ის, რაც გჭირდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის სტაბილური მართვის პირობების შეფასებას. არა ნაკლებ როლს თამაშობს კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი; მნიშვნელოვანია მოცემულ იურისდიქციაში თუ როგორ არის გადაწყვეტილი ოფისის რეგისტრირებული აგენტისა და კომპანიის მდინის საკითხი. სხვადასხვა იურისდიქციებში ოფისის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება სხვადასხვაგვარად. ამიტომ აუცილებელია დადგინდეს შეიძლება თუ არა კომპანიის ოფისის აქტიური ფუნქციონირება აღნიშნული

იურისდიქციის ტერიტორიაზე თუ რეზიდენტული ოფისი არ არის საჭირო, მაშინ სეკრეტარული კომპანია უზრუნველყოფს ოფისის ფუნქციებისა და პროცედურების შესრულებას, მაგრამ ოფისის არსებობის აუცილებლობისას, უნდა შეირჩეს ისეთი ოფშორული იურისდიქციები, რომლებშიც დაშვებულია რეზიდენტული ოფისის დაფუძნება. ასეთი ოფისი შეიძლება შეიქმნას მესამე ქვეყანაში.

იურისდიქციები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საბუღალტრო წიგნების წარმოების, აუდიტის წესების ფინანსური ანგარიშგებისა და დეკლარაციის მიწოდების წესების მიხედვით. თუმცა, ოფშორული ფირმების მფლობელებისათვის ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც არსებობს შემუშავებული ტექნოლოგიები ოფშორული ფირმების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

თავისუფალი ოფშორული ზონები ორი ძირითადი პრინციპით იქმნება: ტერიტორიალური და ფუნქციონალური. პირველ შემთხვევაში ზონა განიხილება როგორც გამოცალკევებული ტერიტორია, სადაც ყველა საწარმო საქმიანობის შეღავათიანი რეჟიმით სარგებლობს. მეორე პრინციპით, ეს არის შეღავათიანი რეჟიმი, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობაში იმის მიუხედავად, თუ სად მდებარეობს ქვეყანაში ესა თუ ის ფირმა.

იმ ქვეყნის ძირითადი სარგებლობა, რომელშიც ორგანიზებულია ოფშორული ზონა, იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია მიიზიდოს დამატებითი უცხოური კაპიტალი, მიიღოს შემოსავალი ამგვარ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიებიდან, შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები ადგილობრივი სპეციალისტებისათვის, რაც თავისთავად ეროვნული ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

საზოგადოებაში ოფშორული ზონების საქმიანობას არაერთმნიშვნელოვნად აფასებენ. ბევრი იმ აზრისაა, რომ ოფშორული ცენტრები ხშირად წარმოადგენენ “ჭუჭყიანი ფულის” ჩამორეცხვისა და სხვადასხვა სახის საბანკო თაღლითობის ადგილებს. ამ აზრის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ეს პროცესები სრულიად გასაიდუმლოებულია და მკაცრად დაცული იმ პირის ან კომპანიის კომფენდენციალურობა, რომელიც ბანკში რიცხავს ფულს.

დღეისათვის მსოფლიოში უამრავი ოფშორული ზონა არსებობს: მათ შორისაა: აშშ, ჩინეთი, ავსტრია, ტაივანი, შვეიცარია, გერმანია, და ა.შ.

საქართველოში, ამ ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით დაბალი ეკონომიკური მახასიათებლები გააჩნია. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ოფშორული ბიზნესი ფაქტობრივად არ არსებობს. თუმცა, ჩვენთან, გამართლებულ იქნებოდა შექმნილიყო ამგვარი ზონები ისეთ რეგიონებში. სადაც ეკონომიკა ჩავარდნილია. საქართველოში ნებისმიერი კაპიტალდაბანდება ქვეყნისთვის შემოსავლიანი იქნება, მაგრამ ამისათვის საჭიროა საინვესტიციო გარემო უფრო მიმზიდველი გახდეს კაპიტალ დაბანდებას საშუალებით,

ჩაიღოს გარკვეული მასტიმულირებელი მექანიზმები გრძელვადიანი და ამაღლოვლად იაფი კაპიტალის მოზიდვისთვის, განსაკუთრებით პორთფელური (კერძო ინვესტირების) კაპიტალის მოზიდვისთვის, რის მთავარ მექანიზმსაც გადასახადების თვალსაზრისით შეღავათების შექმნა წარმოადგენს, რათა მოხდეს გრძელვადიანი კაპიტალის მოზიდვა, რომელიც დაასტიმულირებს საქართველოში რაც შეიძლება გახსნილი და გამჭვირვალე კომპანიების წარმოქმნას, ეს კი ნიშნავს ქვეყანაში საინვესტიციო პროექტების ამუშავებას, ამ შემთხვევაში მოგებულია სახელმწიფო, რადგანაც იგებს ის მექანიზმი, სადაც იზრდება ეკონომიკის რეალური სისრულე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თავისუფალი ზონების წარმოშობა დიდადაა დამოკიდებული მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებაზე და სახელმწიფოს ძალისხმევაზე მათი შემდგომი განვითარებისათვის, რადგანაც ცენტრალიზებული ხელშეწყობის გარეშე ოფშორული ზონები პრაქტიკულად სიცოცხლისუნარიანი არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ საქართველო არ ისურვებს თავისუფალი ეკონომიკური ზონისთვის ბაზრის სრულ გამოყენებას, მას შესაძლებლობა აქვს შექმნას დროებითი თავისუფალი ზონა მანამ სანამ გაიზრდება ჩვენი ეკონომიკის რეალური სექტორი. ამისათვის კი აუცილებელია პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა ქვეყნის შიგნით.

SUMMARY

The article discusses the Free Economic Zone, one of the - one of the offshore zone, setting up offshore companies, developing the principles and objectives. It explains the various offshore firms operating under the jurisdiction of the offshore companies' management structure and organizational forms.

The work is very interesting and I think it will provide important information for readers interested in offshore centers.

ლიტერატურა:

1. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., სტუ, 2008;
2. ჯოლია გ., ჯოლია ნ., საერთაშორისო თანამეგობრობის ანტიოფშორული პოლიტიკის შეფასება, თბ., ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“; 2012, №1;
3. ბაციკიძე თ., თავხელიძე დ., სოხაკე კ., ტექნოპარკების ფუნქციონირების უცხოური გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი, ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2012, №1.